ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 331. კვირა, 19 ივნისი 1911 წ. დამატების № 58



„ოქრი მწუხარება", ქანდაკება რივიერისა.
(ლუქსემბურგის მუზეუმში. პარიზი).

მეგობრობა

(დრამა 4 მოქმედებად)

(შემდეგი *)

(შემადის მსახური).

მსახური. ბატონ კახიძეს სთხოვენ ქალები! .

ოფიცერი. არა სცალიან თქო!..

სარდიონ. კრებაზეა თქო! . (მსახური გადის).

ოფიცერი. აბა, ეურს გიგდებთ!..

სარდიონ. სანდრო ისე მოიქცა, როგორც მამაცი ველური: უნდოდა შუბლით გაენგრია მწყობრისი ჯარის გუნდი!.. წარმოიდგინეთ: თამარი ჯერ ისევ ქმართან იყო, არჩილი თავ-დავიწყებით უყვარდა და ამ დროს სანდრო თავისი არშიყობის იერიშით!.. ხა-ხა-ხა!... ესე რომ ვსთქვათ, სანდროს არშიყობას აკლდა პსიხოლოგიური ელემენტი: რაც გინდ გაფუჭებული იყოს ქალი, თუ ვინმე შეუყვარდა, სხვა კაცისთვის მიუდგომელი ხდება, ვიდრე ამ სიყვარულის ოცნება რეალურ ცხოვრებაში არ განიბნევა!.. თამარი-კი არც გარყვნილი და არც ისეთი ფუქსავატი იყო!..

სანდრო. შენთვის რაღა შეიცვალა?.. განა არჩილი აღარ უყვარს?!..

სარდიონ. არა,—არჩილი დღესაც უყვარს!

სანდრო. მაშ, რაშია საქმე?!..

სარდიონ. აი რაში: ფუფუნებას და უსაქმურობას ჩვეული თამარი უცებ ჩავარდა გაჭირვებაში: აღარც წინანდელი გართობა, სიამოვნება, აღარც საზოგადო აღტაცება, აღარც ქალების შური!.. ძველ ტანისამოსში გახვეული, გაკვეთილებზე სირბილი, დამცირება და ჯილდოდ მხოლოდ არჩილის სიყვარული!.. თქვენ როგორც გე-

*) იხ. სურათებიანი დამატება № 57.

ნებოთ და მე-კი ვიტყვი, რომ, თუმცა სიყვარული ქალისთვის ნახევარ სიცოცხლეზედაც მეტია, მაგრამ არც თუ ისეთი ადვილია დათმობა ბუნებად გადაქცეულ ჩვეულებისა!.. ერთ საოცარ ქალს ვიცნობდი: წმინდანი იყო ის დალოცვილი!.. ჩაცმა-დახურვაზე იმოდენად ფიქრობდა მხოლოდ, რომ თითით საჩვენებელი არ გაეხდარიყო; მაგრამ ისიც-კი ძველ ტანსაცმელს რომ ახალ საყელოს მოადგამდა, ისე ვერ გაივლიდა სარკის წინ, რომ შიგ არ ჩაეხედნა!.. (იცინიან).

ყველანი. მერე, მერე!..

სარდიონ. თამარი მუხლ-მოდრეკით უკმევდა თავის განწირულ სიყვარულს, მაგრამ წარსულ ფუფუნების მოგონება ჩუმ სევდად ჰქონდა შემოწოლილი!.. ეს სევდა ისე მოვაცალე, რომ თითონაც ვერ გაიგო!..

ვიქტორ. როგორ?

სარდიონ. (დაფიქრ). რიგზე, რიგზე!.. პირველად ყოვლისა აუცილებელი იყო მისი ჩემდამი ნდობა!.. შევთხზე არაკული სიყვარული ჩემი წარსულიდან, რომელიც მე ვითომ ეხლაც-კი მტანჯავს ჯოჯოხეთის ტანჯვით!.. მე მამა-კაცი აღარ ვიყავ, მით უფრო სახიფათო... ერთი სიტყვით, დაკოდილი, საპურისი!.. (სიცილი). მერე

ინგილოური ქორწილი: ქალაღია ჩამოფარებული პატარძალია, აქეთ-იქით ამხანაგები უდგანან, რომელთაც, ჩვეულებისამებრ, წინ ჩამოფარებული აბრეშუმის თავშალი უჭირავთ. ცხენზე „ექნები" (ქალის მაყრები) სხედან, ორი მაყარი თოფს ისვრის. ის წუთია გადაღებული, როდესაც ჯვარის, საწერად ეკლესიაში მიჰყავთ.

(ზ. ედილის კოლექციიდან).

განუმარტე მუქთი ბილეთის მნიშვნელობა... ერთი სიტყვით, გადასწყვიტა პეტერბურგში გასეირნება. არჩილს არც დრო და არც ფული არა ჰქონდა, მე-კი დასწყევლოს ღმერთმა—სწორედ მაშინ გამომიჩნდა საქმე პეტერბურგში!.. (სიცილი). პირველი კლასის კუპე, თავისუფლება, მოძრაობა, ახალი ადგილები და ბოლოს პეტერბურგიც!..

აფიცერი. საპურისობიდან გზაშივე განიკურნე?

სარდიონ. ა-პა-პა-პა!.. პეტერბურგამდე მე ვიყავ რაინდი, სხვა ქალის სიყვარულით დაკოდილი რაინდი!.. (სიცილი). ელექტრონი, ოპერა, დამათრობელი მუსიკა, ვახშამი ცალკე კაბინეთში, შამპანიური და, როცა თამარს მთლად დაესხა თავსბრუ, მეც მაშინ, შენი თქმისა არ იყოს, საპურისობიდან განვიკურნე!.. (სიცილი). ნახევრად მიძინებული თამარ ოდნავ-ღა ეწინააღმდეგებოდა ჩემს ხვევნა-კოცნას!..

აფიცერი. ვაშა, ვაშა!..

ვიქტორ. გაუმარჯოს გამარჯვებულს!.. (სვამენ).

სანდრო. მერე?

სარდიონ. მერე რალა!.. რომანმა მიიღო ჩვეულებრივი მიმდინარეობა... თამარი რომ ბურანს გამოერკვა, საშინ-

შევთავაზე სამსახური,—ადვილი, და კარგი ჯამაგირი... ზედაც ყოველ-თვიური საჩუქარი...

აფიცერი. ეგ საჩუქარი საიდან ეძლეოდა?

სარდიონ. ჩემი ჯიბიდან, თუმც ეს იმან ეხლაც არ იცის!..

აფიცერი. რად დაუმალე?

სარდიონ. თამარს რომ გაეგო, არც აიღებდა და ეტვიც შეეპარებოდა!..

ვიქტორ. კაცო და უფრო მადლობელი არ დაგრჩებოდა?!..

სარდიონ. შენ, ვიქტორ, არაფერი არ გესმის!.. ჩემი გამარჯვება პატიოსნურ გარემოებაზე იყო აშენებული!.. ერთი სიტყვით, თამარმა დაიბრუნა დაკარგული სამშობლო,—დაიბრუნა პატიოსნურად, გესმით—პატიოსნურად და ჩემის მოწყალეობით!.. როგორა გგონიათ: რა ადგილი დავიჭირე მე მის გულში?!.. ნუ დაგავიწყდებათ—მასთან საპურისი!.. ხა-ხა..

ყველანი. (იცინიან). გაუმარჯოს სარდიონს!.. (სვამენ).

სარდიონ. როცა თამარში მივაძინე ყოველი სიფრთხილე, ეხლა სხვა გართობის ქავილი ავუშალე... ოსტატურად

ლად ატირდა, კინალამ გამომექცა, მაგრამ აქედან მოუარე, იქიდან. ნება-ნება შეეჩვია ცოდვას და მეც თავისუფლად ამოვისუნთქე!..

სანდრო. ეხლა?

სარდიონ. რაც აქ ჩამოვედით, თან-და-თან ილრუბლება... ამ წინაზე არჩილს რალაცა ეჭვი აეღო, მაგრამ ისევ თვალები ავუბით!.. თამარს-კი ძალა არ მოსდევს თავისი დაპირება შეასრულოს და არჩილს გამოუტყდეს!..

ვიქტორ. არჩილს უფრთხილდით: იქნება თოკს გითრევთ!..

სანდრო. რატომ დღეს აქ არ არის თამარი?

სარდიონ. უნდა წამომეყვანა, მაგრამ არჩილი გუნებაზე ვერ არის და თამარიც ისე ჩაცმული დარჩა სახლში... მეც ძალა აღარ დავატანე...

სანდრო. რომ მოგენდომებინა?!..

სარდიონ. მოვიყვანდი!..

სანდრო. თუ კაცი ხარ, მოიყვან!..

აფიცერი. აბა, სარდიონ გვიჩვენე შენი თილისმის ძალა!..

სანდრო. დღევანდელი ვახშამი შამპანიურით და შენ რომ იცი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარდიონ. (ადგება). თუ ვერ მოვიყვანე, ვახშამზე ღარს ვაცხადებ!..

(ბარდად გადის).

ოფიცერი. სეირი თუ გინდა, ეს არის!..

ვიქტორ. ეგ ღვინით შერურებულია და არჩილი ავიწყდება!

სანდრო. არჩილიც კაციო?!..

ვიქტორ. აჰა, მე ხომ მითქვამს!..

ოფიცერი. მეც ეგრე მგონია... არჩილს ტყუილად უყურებ მაგ თვალით!..

სანდრო. რომელი კაცი აიტანდა იმ შეურაცყოფას, რაც მე იმის საყვარლისთვის მიმიყენებია!..

ოფიცერი. შენ რა გგონია,—არჩილს ეშინიან შენი?!..

სანდრო. ალბად!..

ოფიცერი. შენ უნდა სცდებოდე... არჩილი მხდალ კაცს არა ჰგავს...

სანდრო. რას ამბობ!.. ქუჩაში რომ შემხვდება, თავს ჩაჰკიდებს და გვანზე გამივლის ხოლმე...

ოფიცერი. ეგ არაფერია!.. ვინ იცის, რა გარემოება ათმენინებს!.. ამ ბოლო ომის დროს დავრწმუნდი, რომ მრავალი ოფიცერი, რომელიც აქ ქუჩებში ყველას თვალებს უტრიალებს და გმირივით დაბოტებს, იქ ბრძოლის ველზე სახიზღარ ლაჩრობას იჩენს!.. აგრედვე, მრავალი ჩუმი, უწყინარი მართლა რომ გმირობას იჩენს საქმის დროს!.. „სადაც არა სჯობს, სჯობს გაცლა კარგისა მამაცისაგან“...



ინგილოური სახლი (ბ. ედილის კოლექციიდან).

სანდრო. საცა სახიფათოა რაღა!..

ოფიცერი. არა, მაგ აზრით არ არის ნათქვამი!..

ვიქტორ. მეც ბევრჯერ მინდოდა მეთქვა, თავი დაანებე ქუჩაში თამარის დევნასა მეთქი!..

სანდრო. გმადლობ რჩევისათვის!..

ვიქტორ. აჰა, სანდრო!..

სანდრო. აჰა, თორემ ყურებზე ხახვი არ დამაჭრას შენმა არჩილმა!..

ოფიცერი. მართლა, წინედ ისე სდევნიდი თამარს და ამ ბოლო დროს რად დაანებე თავი?

სანდრო. სარდიონის თხოვნით... ეხლა მე ვიცი!..

ოფიცერი. თავი დაანებე, სანდრო!..

სანდრო. (მაგიდას მუშტს დაჭერავს). არა!.. ან თავის ფეხით მოვა ჩემთან, ან ყელს გამოვაჭრევინებ!..

(მარაზს ქნეგით შემოდის ლიზა).

ლიზა. (ჯდება) უჰ, ცხელა!..

ვიქტორ. აი, თუნდ ქ. ლიზასა ვკითხოთ: განა შესაძლოა, რომ ქალი თავის ფეხით მიეიდეს?!.. ხე ხე...

ლიზა. თუ მივა, თავის ფეხით მივ!..

ვიქტორ. ხე-ხე... არა—განა გაჰბედავს?!..

(შემოდის ექვთიმე).

ექვთიმე. აქა ხარ, ლიზა?!

ლიზა. არა!..

ოფიცერი. აი, ბ. ექვთიმეს ვკითხოთ: ქალი იკისრებს თავისი ფეხით მივიდეს მამა-კაცთან?!..

ექვთიმე. (დაფიქრდება). თავისი ფეხით?!.. მე მგონია, რომ...

ლიზა. (აწყვეტინებს). მე მგონია, რომ შენ არაფერი გგონია!..

(სცენაზე კაოვდიან თამარ და სარდიონ. ეკვდანი გაჩუმდებიან და დიდის ეურადღებით უცქერიან. ვიქტორ, ექვთიმე და ოფიცერი მოწიწებით თავს უკრავენ; ლიზა—ტუნაწყვეთ, ოდნავ; სანდრო სულ არა. თამარ სადამს აძლევს).

ექვთიმე. ლომაურის ცოლი!..

ლიზა. შენ რას შეტოკდი!..

ექვთიმე. არაფერს!..

ლიზა. ცოლი, მე შენ გითხრა, გაირგვინის ტოტები ლაჰმტვრევია!..

ექვთიმე. (ამოიოხრებს). ეეხ!..

ოფიცერი. (სანდროსკენ). ყოჩაღ, სარდიონ!..

ლიზა. წავიდეთ... (დაცინვით). ცეკვას, რასაკვირველია, განაახლებენ!...

სანდრო. უეჭველად!..

(დიხ, ექვთიმე და ვიქტორ გადიან).

ოფიცერი. წავიდეთ, ჩვენც დავხედოთ, სანდრო!...

სანდრო. წავიდეთ!..

ოფ ცერი. შენ ძალიანა ხარ მოლრუბლული, სანდრო... თუ ღმერთი კწამს, არაფერი მოახდინო!..,

სანდრო. შენი საქმე არ არის!.. (გადიან).

(სცენა ცარიელდ რჩება. მოისმის ვალსის ხმა. დინჯად შემოდის არჩილ; შუა სცენაზე გაჩერდება და რიტორდისკენ ნადვლიანად იყურება).

არჩილ. დაფრინავს!.. (ბაუზა). ნეტა ვიცოდე, რა აზრები უტრიალებს თავში... ან-კი ფიქრობს რაზედმე საზოგადოდ!.. ნუ თუ ცხოვრება ასეთი უაზროა და ადამიანი-კი ფლიდი, რომ ორმოც წელში კაცმა უნდა ყოველი რწმენა დაჰკარგოს?!.. სიყვარული... მეგობრობა... ნუ თუ ყოველი ეს ოცნებაა მხოლოდ!.. მაშ, რაღა დაგვრჩენია?!.. მეცნიერება... ხელოვნება... შრომა?!.. ვის რად ეჭირება ვარსკვლავთ რაოდენობა ცაში ან ქვიშის ვითარება ზღვის ძირზე, თუ ცხოვრება მოკლებული იქნება სიცოცხლის უმთავრეს აზრს და ძარღვის ცემას! . (ხეს მიეყუდება და ჩაფიქრდება).

(სეირნობით გავიდის ლიზა).

ლიზა. (დაცინვით ლორნეტს მიაჩერებს). სალამო მშვიდობისა, ბ. არჩილ!.. (არჩიდი შეკრთება და თავს უკრავს. ირონიით). როდის აქეთ გაინტერესებთ საცეკვაო სალამოები?!.. (გადის).

არჩილ. ამ ქუჩის დედა-კაცსაც-კი ნება აქვს მჩხვლიტოს... დამცინოს!.. თამარ, თამარ!.. ამისთანა დამცირებას და ტანჯვას ხომ მოსისხლე მტერიც ვერ მომაყენებდა!.. (მაგიდასთან სასოწარკვეთილებით დაეშვება და თავს ხელებზე დაიდებს).

(შემოდის სანდრო. არჩიდი შეკბედავს. სანდრო გადაჭარბებული თავაზიანობით თავს უკრავს. არჩიდ თვალებში შეშურებს და სალამზე არ უპასუხებს).

სანდრო. სალამის მოცემაც არა გნებავთ!.. კეთილი... (დინჯად მიდგა, დადგეს დგინის და ისევ დინჯად, დიდანით გადის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(შემოდის ექვთიმე).

ექვთიმე. ვახლავარ, არჩილს!..

არჩილ. გაგიმარჯოთ!..

ექვთიმე. ლიზას აქეთ ხომ არ გამოუვლია?..

არჩილ. გაიარა.

ექვთიმე. (მიდის, მობრუნდება). ხე-ხე... თქვენც ხომ არავის ათვალიერებთ?.. ხე-ხე... (გადის).

არჩილ. როგორ უხარიან ამ ცოლის დარაჯს, რომ კიდევ ახალი ამხანაგი იპოვნა!.. იქნება მეც ეგრე შევეჩვიო დიდ-ყურა მეუღლის თანამდებობას და სიკვდილამდის ვსდიო უკან ცოლის საყვარლებს!.. (ბოფიქრდება, ეცემ წამოდგება და მაგიდას მუშტს დაჭერავს). ვნახავთ!.. მგონი აქეთ მოდიან... (მარცხნივ გავა).

(ხედი-ხედ გაურიდნი ხტუნაობით შემორბიან თამარ და სარდიონ).

სარდიონ. გენაცვალე, თამრუნი!.. სწორედ მურწა თევზის ფხლაკუნა წელი გაქვს!.. მოთმინება აღარა მაქვს?.. (ხვს მოაფარებს და ენებით აკოცებს. შემდეგ ისევ ხტუნაობით კარბიან).

(არწიდი ხარხარით შემოვარდება სცენაზე).

არჩილ. ხა-ხა-ხა!.. ვაშა, ვაშა, მურწა თევზი!.. ხა-ხა ხა!.. ამინ!.. (მაგიდას უწუალოდ არახუნებს).

(შემორბის მსახური).

არჩილ. ექვსი ბოთლი ღვინო... მაგარი ღვინო!.. საჭმელიც რამ...

მსახური. ემ საათში!.. (კაქტუსს დაბერებს).

არჩილ. მოიცა!.. მანდ, ბალის ბნელ ხეივნებში, ღამის ორ პეპელას შევხვდი... სთხოვე აქ მოვიდნენ!..

მსახური. (გაოცებული). აქ?.. თქვენთან?!..

არჩილ. აქ!.. ჩემთან!.. ჩქარა!..

მსახური. ბატონი ბძანდებით!.. (კარბის).

(არწიდ უდარდელად დაბიჯებს დოინჯ-შემოერიდი და დიდინებს: „ეს სოფელი სწორედ საგიჟეთია"... შემოდის ექვთიმე).

არჩილ. ხა-ხა-ხა!.. ვერ იპოვნე?.. თავი დაანებე... შე დალოცვილო, აქაო და ჩემი ცოლიაო, კუდის-კუდ დასდევ!..

ექვთიმე. ხე-ხე-ხე... ძალიან მხიარულად ბძანდებით!..

არჩილ. რატომაცაო!..

(მსახურს შემოაქვს ბოთლები, საჭმელი, ჭიქები და მაგიდაზე აწყობს).

არჩილ. ეხლა უფრო მხიარულად ვიქნებით!.. (მსახურს). ისინი?!..

მსახური. ეხლავ მოვიყვანი!.. (კარბის).

ექვთიმე. ვინ ისინი?

არჩილ. (დოინჯს ასხვს). ანგელოსები, ანგელოსები!. ხა, ხა... მოდი დაჯექ!.. (სხდებიან) კაცო, ვერ შეიგნე, რომ სიყვარული თავისუფალი გრძნობაა!.. აბა დავლიოთ!.. ეს პირველი უსახელო იყოს... (დაჭეგენ. არწიდ ისევ დასხვს). ეს ღმერთმა აცოცხლოს ყველა რქიანი ნადირი,—ალავერდი შენთან!..

ექვთიმე. რქიანი ნადირი და... ალავერდი ჩემთან?!..

არჩილ. ჰო, შენთან!..

ექვთიმე. რათაო?!..

არჩილ. რამდენი ხანია, რაც შენ ცოლი შეირთე?

ექვთიმე. მეათე წელიწადია...

არჩილ. ამ ცხრა წლის წინად შუბლის ქავილი ვერ იგრძენ?

ექვთიმე. (ცივად აღგება). მე მაგისთანა ლაპარაკი...

არჩილ. (დაიჭერს). ხა-ხა-ხა!.. მოიცა, მოიცა... მეც რქიანი ვარ!..

ექვთიმე. (მხიარულად). ხე-ხე... მაშ შენც?!..

არჩილ. მეც, შენც, ჩვენ ორთავენიც... ხა-ხა!..

ექვთიმე. (ჯდება). ხე-ხე-ხე... მაშ, ალავერდი შენთან!..

არჩილ. არა,—ჯერ შენთან, მერე ჩემთან!..

ექვთიმე. რათაო?!..

არჩილ. იმათაო, რომ შენ რქებს უფრო მეტი ტოტები აქვს!.. ხა-ხა-ხა...

ექვთიმე. ხე-ხე-ხე... (სვამენ). ჩვენი რქები ისე გვიხარიან, ასე გონია, მილიონი მოგვეგოს!.. ხე-ხე...

არჩილ. რატომაცაო!.. დათვი, ლორი, ვირი ერთ მხარეს,—მშველი, ირემი, ჯეირანი მეორეს!.. (ხარხარებენ. ისევ დოინჯს ასხამს).

(მსახური ზურგ-მობრუნებული შემოდის და თითოთ ვიდაცას აწვევს. შემოდიან ორი როსკიში კოკო; წითელ-ულვითელი ტანისამოსით, შლიაპებით და ბირ-ბადით).

არჩილ. (მიეგებება). ა-ა!.. მობძანდით, მობძანდით!.. გაგვიცანით: ეს დედა-ირემი, მე ჯერ ნუკრი!.. დასხედით!.. (ექვთიმეს). შენ რას აიძურწე?.. დაჯექ, დაჯექ!.. თუ აქამდის არა მოგვეცხო-რა, არც ეხლა მოგვეცხობა!..

ექვთიმე. (შეშინებული აქეთ-იქით იყურება). მართალია... მაგრამ..

არჩილ. ხა-ხა-ხა!.. ცოლისა ეშინიან!.. ხა-ხა... ბეჭერო ლოშაკო, ამოგიდო ცოლმა ქვეშ?!..

ექვთიმე. (ნაწყენი). მე ვერავინაც ვერ ამომიდებს!..

არჩილ. ყოჩაღ!.. მაშ დაჯექ... ეგრე!.. მე ვარ პასუხის მგებელი!..

ექვთიმე. (დგინო ეკიდება და ათამამებს). მე თითონაც შემიძლიან!..

არჩილ. ბიჭოს!.. ეს რა ყოჩაღი ყოფილა!.. (ყველანი სხდებიან). შენი სახელი?

პირველი გოგო. საშა!..

არჩილ. შენი?

მეორე გოგო. მაშა!..

არჩილ. გაცოცხლოთ, საშა და მაშა!.. (სვაშენ). ნუ გრცხვენიანთ, თავი მაღლა აიწიეთ!.. თქვენ ჩვენ ცოლებზე უფრო პატიოსნები ხართ!..

გოგოები. ხი ხი-ხი!..

არჩილ. არა გჯერათ?!.. რას იტყვი, ექვთიმე?

ექვთიმე. ხე ხე-ხე... ერთის მხრით...

არჩილ. ერთის მხრით-კი არა—საზოგადოდ!.. ესენი თავიანთი ტანით ვაპრობენ ლუკმა პურისთვის, ჩვენი მაძღარი ცოლები-კი სიყვარულით ვაპრობენ!.. ესენი ქვეყანას არ ატყუებენ,—ჩვენი ცოლები-კი, თავიანთ გარყვნილობას სიყვარულის ბაირაღს აფარებენ!..

ექვთიმე. ხე ხე-ხე... მართალია, მართალი!..

არჩილ. (გოგოებს). აი ამისმა ცოლმა ცხრა წლის განმავლობაში, ცხრა საყვარელი გამოიცვალა; ჩემ ცოლს-კი ჰყავს ერთი კანონიერი ქმარი, ერთი კანონიერი საყვარელი და ერთიც უკანონო საყვარელი!..

ექვთიმე. ხე-ხე-ხე!..

გოგოები. ხი-ხი-ხი!..

(შემდეგი იქნება)



რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი. მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი"